ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-93. 93233606**

თარიღი:**26/12/2023**

,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №გ-93.93213376 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №გ-93.93213376 განკარგულებაში.

მუხლი 2

შეიცვალოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და განკარგულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ივანე ხაჩიძის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 4126 (ოთხი ათას ას ოცდაექვსი)ლარის ოდენობით.“.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში,კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი